

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს დამატებები და პირველ მუხლს დაემატოს მე-5-7 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„5. პირს, რომელმაც სამხედრო სარეზერვო სამსახური გაიარა სრულად ან გადის კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირთან თანაბარი კვალიფიკაციის (შეფასების) შემთხვევაში, უპირატესი უფლება ეძლევა, საჯარო სამსახურში მიღების, დაწინაურების, თანამდებობაზე დანიშვნის, დაწესებულების რეორგანიზაციის და შტატების შემცირებისას თანამდებობაზე დარჩენისას.

6. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება არჩევით თანამდებობებზე და იმ თანამდებობებზე, რომლებზეც მოხელეს ნიშნავს პრეზიდენტი, პარლამენტი, ან პრემიერ-მინისტრი.

7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიძლება განისაზღვროს ის უფროსი/წამყვანი საჯარო თანამდებობები (გარდა არჩევითი თანამდებობებისა), რომელზეც არ შეიძლება დაინიშნოს პირი, თუ იგი არ განაცხადებს თანხმობას ნებაყოფლობით გაიაროს სამხედრო სარეზერვო სამსახური ან თავს აარიდებს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი